

ძალაშია ხელმოწერის დღიდან

შეთანხმება

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკის ფედერალური სამმართველოსა და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკის ფედერალური სამმართველო და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, შემდგომში მხარეებად წოდებულნი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მიზნით შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკის ფედერალური სამმართველო შეძლებისდაგვარად დაეხმარება საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს საერთაშორისო სტანდარტების და საბაზრო ეკონომიკის მქონე დემოკრატიული საზოგადოების ინფორმაციული მოთხოვნების შესაბამისად სტატისტიკური სისტემის ადაპტირებაში.

მუხლი 2

მხარეები შეთანხმდნენ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტის მიხედვით სტატისტიკური პუბლიკაციების გაცვლაზე.

მუხლი 3

მხარეები კოორდინირებას გაუწევენ თავიანთი ძალისხმევის საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში, პირველ რიგში პროგრამა გასისის პროექტების რეალიზაციის ფარგლებში.

მუხლი 4

გერმანიის რესპუბლიკის სტატისტიკის ფედერალური სამმართველო განიხილავს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შეთავაზებულ პროექტებს მათი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობების თვალსაზრისით და შეათანხმებს მათი რეალიზაციის მსვლელობას საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან. ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებენ, პირველ რიგში, ბერლინის მიწის სტატისტიკის სამმართველო და, აგრეთვე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვა მიწების სტატისტიკის სამმართველოები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტაგისტიკის ფედერალური სამმართველო გამოჰყოფს ექსპერტებს ღონისძიებათა ჩასატარებლად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკასა და საქართველოში. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ღონისძიებების ჩატარებისას გერმანული მხარე ვალდებულებას იღებს შექმნას ყველა აუცილებელი პირობა გექნიკური საშუალებებითა და სამუშაო ფართობით უზრუნველყოფის, ინფრასტრუქტურის ორგანიზების, აუცილებელი სათარჯიმნო მომსახურების და ადგილზე თანხლების საკითხებში.

მუხლი 5

იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი ღონისძიებები გარდება საქართველოში, საქართველოს სტაგისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი კისრულობს პასუხისმგებლობას აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნაზე, რაც გულისხმობს ფართობით, გექნიკური საშუალებებით, სამუშაო მასალებით, აუცილებელი სათარჯიმნო მომსახურებით უზრუნველყოფასა და ადგილზე თანხლებას.

მუხლი 6

ამ შეთანხმების რეალიზაციის მიზნით ორივე მხარის მიერ ერთობლივად შემუშავდება კონკრეტული ორწლიანი სამუშაო პროგრამები და დაიგეგმება მათი დაფინანსება. მხარეებს შეუძლიათ დამატებით შეთანხმდნენ იმაზე, თუ რა კონკრეტული წვლილი შეიძლება იქნეს შეტანილი მიღებული პროგრამის რეალიზაციაში.

მუხლი 7

ეს შეთანხმება იდება განუსაზღვრელი დროით და ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

ამ შეთანხმების მოქმედება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს ერთ-ერთი მხარის სურვილით, რომელმაც ამის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს. შეთანხმების მოქმედება შეწყდება ასეთი შეტყობინების დღიდან.

შეთანხმება შედგენილია ქ. ვისბადენში 1998 წ. 28 აგვისტოს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და გერმანულ ენებზე. ამასთან ორივე ტექსტს აქვს ერთნაირი ძალა.

გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის სტაგისტიკის
ფედერალური სამმართველოსაგან

საქართველოს სტაგისტიკის
სახელმწიფო დეპარტამენტისაგან